

# შპს ცხუმ ეგრისი

## 1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

|   |  |
|---|--|
| პროგრამის სახელწოდება:<br>მმართველობითი და საინფორმაციო დოკუმენტების მომზადება  |  |
| პროგრამის სახე:<br><input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება<br><input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება  |  |
| ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:<br><input type="checkbox"/> 2 <input type="checkbox"/> 3 <input checked="" type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5   |  |
| პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10 კვირა   |  |
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16 სთ   |  |
| მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:<br>მინიმალური : 10<br>მაქსიმალური: 15   |  |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება  |  |
| პროგრამის მიზანია: მსმენელთათვის დასაქმებისათვის საჭირო ისეთი უნარების განვითარება, რომელთა გამოყენებით შეძლებენ მმართველობითი და საინფორმაციო დოკუმენტების მომზადებას, მათ გაფორმებას საქართველოს ეროვნული სტანდარტისა და საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად  |  |
| სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით);<br>1.საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, საინფორმაციო დოკუმენტების მომზადება;<br>2.საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, კორესპოდენციის ორგანიზება;<br>3.საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, მმართველობითი დოკუმენტების მომზადება;<br>4.საქართველოს ეროვნული სტანდარტისა და კანონმდებლობის შესაბამისად, დოკუმენტების აუცილებელი და დამატებითი რეკვიზიტების გაფორმება |  |

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

1. შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის მიერ 2019 წლის 2 მაისის N 01-16 ბრძანებით დამტკიცებული საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ სრულ ზოგად განათლებას და აქვთ სურვილი შეისწავლონ მმართველობითი და საინფორმაციო დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების წესები, საქართველოს ეროვნული სტანდარტისა და საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 10 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 160 საათს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს ცხუმ-ეგრისის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან კოლეჯის A სასწავლო გარემოში.

მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-10 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალების შესრულებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს